

საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭო

ქ. ბათუმი

13 ნოემბერი, 2020 წელი

გადაწყვეტილება № 05-01/03

„სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის არასააუდიტორიო დატვირთების ზღვრული ოდენობის და პირობების დამტკიცების შესახებ“ ბსსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2014 წლის 16 ოქტომბრის №05-01/08 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე, 52-ე და 53-ე მუხლების, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 18-ე მუხლის პირველი პუნქტის, სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის წესდების მე-17 მუხლისა და აკადემიური საბჭოს 2020 წლის 13 ნოემბრის №04-01/12 დადგენილების საფუძველზე

წარმომადგენლობითმა საბჭომ გადაწყვიტა:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება „სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის არასააუდიტორიო დატვირთების ზღვრული ოდენობის და პირობების დამტკიცების შესახებ“ ბსსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2014 წლის 16 ოქტომბრის №05-01/08 გადაწყვეტილებაში და გადაწყვეტილების პირველი პუნქტით დამტკიცებული „აკადემიური პერსონალის არასააუდიტორიო დატვირთების პირობები“ (დანართი №2) ჩამოყალიბდეს ამ გადაწყვეტილების დანართის შესაბამისად.

2. გადაწყვეტილება ამოქმედდეს 2021-2022 სასწავლო წლიდან.

წარმომადგენლობითი საბჭოს
სპიკერი

თ. მეიშვილი

თ. მეიშვილი

**აკადემიური პერსონალის არასააუდიტორიო დატვირთვების
პირობები**

1. აკადემიური საბჭოს წევრობა - 150 სთ. წლის განმავლობაში;
2. წარმომადგენლობითი საბჭოს წევრობა - 150 სთ. წლის განმავლობაში;
3. ფაკულტეტის საბჭოს წევრობა - 130 სთ. წლის განმავლობაში;
4. მუშაობა დეპარტამენტის სხდომებში - 130 სთ. წლის განმავლობაში;
5. სტუდენტთა კონსულტირება - 72სთ. წლის განმავლობაში;
6. მასტერ-კლასის/საჯარო ლექციის/დისკუსიის მომზადება და ჩატარება - 150 სთ;
7. მასტერ-კლასის/საჯარო ლექციის მომზადება/ჩატარება უცხოეთში - 200 სთ;
8. სტუდენტური შემოქმედებითი/თავისუფალი პროექტის მომზადება და ჩატარება - 500 სთ;
9. სამეცნიერო პროექტის (კონფერენცია, სამეცნიერო სემინარი, და ა.შ) მომზადება და ჩატარება - 500 სთ;
10. შემოქმედებითი/სამეცნიერო/თავისუფალი პროექტის მომზადება და საკონკურსოდ წარდგენა - 200 სთ;
11. საკონკურსო შემოქმედებითი/სამეცნიერო/საგრანტო/თავისუფალი პროექტის მომზადებაში მონაწილეობა - 50 სთ;
12. სხვა შემოქმედებითი პროექტის (კონცერტი; გამოფენა; სპექტაკლი; ფილმი; სადამო და ა.შ.) ხელმძღვანელობა - 200 სთ;
13. სხვა შემოქმედებით პროექტში (კონცერტი; გამოფენა; სპექტაკლი; ფილმი; სადამო და ა.შ.) მონაწილეობა - 50 სთ;
14. ნაშრომის მომზადება სამეცნიერო კონფერენციისათვის - 150 სთ;
15. სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობა /მსმენელი - 50 სთ;
16. სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობა უცხოეთში - 200 სთ;
17. სამეცნიერო სემინარზე მოხსენების გაკეთება - 60 საათი;
18. ნაშრომის მომზადება და კრებულში დაბეჭდვა - 150 სთ;
19. ნაშრომის მომზადება და უცხოეთის კრებულში დაბეჭდვა - 200 სთ;
20. რეცენზიის, სტატიის, წერილის მომზადება და დაბეჭდვა - 50 სთ;
21. სამეცნიერო კრებულის მომზადება/რედაქტირება - 200 სთ;
22. სამეცნიერო კონფერენციის კრებულის/სამეცნიერო კრებულის ტომის რედაქტორობა - 200 სთ;
23. სამეცნიერო კრებულის სარედაქციო კოლეგიის (საბჭოს) წევრობა - 50სთ;
24. სამეცნიერო კონფერენციის მომზადება/ჩატარებაში მონაწილეობა - 150 სთ;
25. სტუდენტთა სამეცნიერო თემის ხელმძღვანელობა - 50 სთ;
26. სალექციო მასალებისა და რიდერის მომზადება: 1 სასწავლო დისციპლინა - 100 სთ;

27. სალექციო მასალის მომზადება „პოვერპოინტში“: 1 თემა - 20 სთ;
28. ფოტოალბომის, სტენდის მომზადება - 100 სთ;
29. სალექციო კურსის მომზადება/თარგმნა - 1 გვ. 5 სთ;
30. სალექციო კურსის წიგნად გამოსაცემად მომზადება - 1 გვ. 10 სთ;
31. მონოგრაფიის/სახელმძღვანელოს/დამხმარე სახელმძღვანელოს მომზადება - 1 გვ. 10 სთ;
32. სახელმძღვანელოს/დამხმარე სახელმძღვანელოს თარგმნა - 1 გვ. 10 სთ;
33. ლექციების კურსის/სახელმძღვანელოს/დამხმარე სახელმძღვანელოს რედაქტორობა - 200 სთ;
34. ლექციების კურსის/სახელმძღვანელოს/დამხმარე სახელმძღვანელოს რეცენზირება - 100 სთ;
35. სამეცნიერო კრებულის 1 პუბლიკაციის რეცენზირება - 30 სთ;
36. აქტიური საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელობა – 500 სთ;
37. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელობა -500 სთ;
38. აქტიური დამატებითი/არჩევითი პროგრამის ხელმძღვანელობა - 150 სთ;
39. აქტიური დამატებითი/არჩევითი მოდულის ხელმძღვანელობა - 50 სთ;
40. ახალი საგანმანათლებლო პროგრამის მომზადება სააკრედიტაციოდ (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა) – 500 სთ;
41. დამატებითი/არჩევითი პროგრამის მომზადება - 100 სთ;
42. დამატებითი/არჩევითი მოდულის მომზადება - 50 სთ;
43. სასწავლო კურსის სილაბუსის განახლება - 50 სთ;
44. ახალი დისციპლინის სასწავლო გეგმის (სილაბუსის) მომზადება - 100 სთ;
45. საგამოცდო კომისიებში მონაწილეობა: ინდივიდუალური 1 სტუდენტი - 1 სთ;ჯგუფი - 5 სთ;
46. დროებითი/მუდმივმოქმედი კომისიის ხელმძღვანელობა/წევრობა: 1 სხდომა-10სთ;
47. საკონკურსო კომისიებში მონაწილეობა - 70 სთ;
48. საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებელი ჯგუფის წევრობა - 50 სთ;
49. საბაკალავრო ნაშრომის რეცენზირება - 30 სთ;
50. სამაგისტრო ნაშრომის რეცენზირება - 50 სთ;
51. სადოქტორო ნაშრომის რეცენზირება - 100 სთ;
52. საგამოცდო ტესტების მომზადება: 1 ტესტი - 15 სთ;
53. სხვა აქტივობა სხვა, წინამდებარე დატვირთვით გაუთვალისწინებელი საუნივერსიტეტო აქტივობა - სასწავლო წლის განმავლობაში არაუმეტეს 200 საათისა.